სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030675804322218

18 / ივლისი / 2018 წ. **თბილისი #06-112/ო**

სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა პირად და პროფესიულ ინფორმაციასთან წვდომის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) თანამშრომელთა პირად და პროფესიულ ინფორმაციასთან წვდომის უფლების მქონე, ცენტრის თანამშრომლებმა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული პირადი და პროფესიული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა თანდართული დანართი #1; #2; #3; #4; #5; #6; #7; #8; #9-ის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართებით განსაზღვრული თანამშრომლების ცვლილების შემთხვევაში, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციულ დეპარტამენტში წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია (მოხსენებითი ბარათი) ბრძანებაში ცვლილების შეტანის მიზნით.
3. ცენტრში დასაქმებულ პირებს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი #1; #2; #3; #4; #5; #6; #7; #8; #9-ით განსაზღვრული პირების გარდა დაევალოთ, მათი პროფესიული საქმიანობის დროს დაიცვან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადი და პროფესიული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული პირადი და პროფესიული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ პირებზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
5. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
6. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გენერალური დირექტორის შესაბამის კურატორ მოადგილეებს.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა პირად და პროფესიულ ინფორმაციასთან წვდომის შესახებ“ სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2016 წლის 2 ნოემბრის #06-169/ო ბრძანება.
8. ეს ბრძანება ძალაშია 2018 წლის პირველი მარტიდან.
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე